# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 198

„19" მაისი 2023 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედითვის" (ს/კ. 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და 12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედითვის" (ს/კ. 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.682.754 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედითვის" (ს/კ. 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.
2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.
3. განკარგულება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე